საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030197936833020

№ 01-132/ო **29 / მარტი / 2020 წ.**

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საკითხების ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფის მიზნით,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საკითხების ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) გიორგი გოცაძე - საერთაშორისო ფონდი „კურაციოს“ დირექტორი;

ბ) ლაიოშ კოვაქსი - ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი, უფროსი ექსპერტი;

გ) გიორგი კამკამიძე - კლინიკა „ნეოლაბის“ დირექტორი;

დ) ხათუნა ზახაშვილი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდეგში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი;

ე) მაია ბუწაშვილი - ინფექციონისტი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელობის კვლევის კავშირის“ დირექტორი;

ვ) ირინე ქაროსანიძე - საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის გენერალური დირექტორი;

ზ) ბიძინა კულუმბეკოვი - ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის ექიმი;

თ) ივდითი ჩიქოვანი - საერთაშორისო ფონდი კურაციოს მკვლევარი;

ი) ლიკა გამგებელი - ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი, ტექნიკური მრჩეველი.

2. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება მოწვევის საფუძველზე ეთხოვოს სილიუ დომენტეს - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს.

3. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჯგუფის ძირითადი ფუნქციები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევათა ანალიზის საფუძველზე, ალტერნატიული მათემატიკური მოდელების გამოყენებით შემთხვევათა პროგნოზირების ალგორითმის შემუშავება;

ბ) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) პანდემიის დროს სოციალური დისტანცირების ინტერვენციების შედეგების ეფექტურობის გაზომვის ინსტრუმენტის შემუშავება;

გ) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) პანდემიის დროს ჰოსპიტალური დაწესებულებების სიმძლავრეების მონიტორინგის ინსტრუმენტის შემუშავება;

დ) ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევათა პროგნოზირებისა და სიმძლავრეების მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქმედებების ეფექტიანობის ამაღლებისთვის წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

4. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ, არანაკლებ თვეში ერთხელ და საქმიანობას წარმართავს ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად.

5. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჯგუფის სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, შეხვედრების ოქმების მომზადება და სხვა სამდივნო ფუნქციების შესრულება დაევალოს ალისა წულაძეს - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს.

6. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჯგუფის მუშაობის კოორდინაცია დაევალოს თამარ გაბუნიას - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს.

7. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჯგუფი თავისი საქმიანობის შედეგებზე ანგარიშვალდებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინაშე.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე